ᲖᲘᲠᲐᲥᲘ

№29 (9.643)
9-16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 2014 ᲬᲚᲘ
ᲤᲐᲡᲘ: 50 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1937 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ
ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. „ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲝᲑᲐ“ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲐ ᲐᲚᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ, ᲐᲥᲕᲔ ᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲚᲐᲓᲝ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲘ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, „ᲥᲣᲩᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ“, ᲡᲝᲤᲝ ᲑᲔᲓᲘᲐ, ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲢᲐᲢᲝ �გᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲠᲘᲢᲝᲜᲡ – ᲚᲐᲓᲝ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲡ, „ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲡ – ᲒᲝᲩᲐ ᲢᲧᲔᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲡ – ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲩᲝᲣᲨᲘᲐᲜᲡ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ �გᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ. ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲝᲑᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠ ᲚᲔᲥᲡᲝ ᲗᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

ᲚᲐᲓᲝ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲡ“ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲯᲘᲚᲓᲝᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲔᲡ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲛᲓᲔᲡ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ.

ᲛᲐᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔᲛᲐᲪ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ �გᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘᲗᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲓᲐ.

„ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ �გᲝᲩᲐ ᲢᲧᲔᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲓᲝ, ᲠᲝᲛ 2014-15 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲗ �გᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲘ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲘ �გᲐᲮᲡᲜᲘᲐᲜ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ:

ᲓᲘᲛᲐ ᲢᲠᲘᲙᲚᲘᲙᲘᲫᲕᲘᲚᲘ – ᲔᲥᲘᲛᲘ ᲞᲔᲓᲘᲐᲢᲠᲘ; ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ – ᲡᲢᲣ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ; ᲐᲚᲔᲙᲡᲘ ᲠᲝᲠᲩᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲡᲢᲣ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ; ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ; ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔ ᲥᲐᲚᲘ; ᲒᲔᲚᲐ ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘ – ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲛᲙᲚᲐᲕᲭᲘᲓᲨᲘ; ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲐᲠᲐᲑᲕᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ; ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ; ᲕᲐᲟᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ – ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ; ᲙᲚᲐᲠᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲖᲕᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ; ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲘᲙᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ, ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ, ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ; ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ; ᲮᲕᲘᲩᲐ ᲥᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲙᲘᲙᲑᲝᲥᲡᲘᲜᲒᲨᲘ; ᲚᲐᲓᲝ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲛᲙᲚᲐᲕᲭᲘᲓᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ.

ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲘᲡᲬᲧᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ �გᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐ-ᲙᲐᲕᲨᲘᲠ „ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ **ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ **ᲜᲘᲜᲝ ᲯᲯᲚᲐᲠᲙᲐᲕᲐ**. ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲡᲜᲠᲘᲠᲔᲓ ᲜᲘᲜᲝ ᲯᲯᲚᲐᲠᲙᲐᲕᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ.

ᲐᲥᲕᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲡ�გᲐᲕᲡᲐᲓ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲓ �გᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲓᲐ. ᲘᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲑᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲔᲚᲝᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲐᲥᲔᲗ �გᲐᲓᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ „ᲦᲕᲘᲜᲝᲕ, ᲙᲐᲮᲣᲠᲝ!“ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲚᲐᲓᲝ ᲐᲗᲐᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲐᲓ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲓᲣᲔᲢᲘ ᲘᲮᲘᲚᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲛᲔᲜᲘ ᲘᲧᲝ.

„ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲔᲛᲣᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲠᲬᲘᲕᲐᲓ... ᲓᲦᲔᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲕᲓᲐ ᲬᲘᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ �გᲐᲛᲔᲑᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲔᲛᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲔᲛᲦᲔᲠᲐ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲧᲝᲤᲜᲘᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ, ᲣᲦᲠᲛᲔᲡᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲩᲔᲛᲝ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲝ!.. �მᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑᲓᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲗ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲗᲘ,“ –

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ.8)

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲣᲠᲩᲔᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲭᲘᲕᲘᲚᲘ

ᲒᲕ. 4

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲒᲕ. 2

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ



ᲒᲕ. 3

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲛᲔᲜᲘᲜᲒᲘᲢᲘᲐ!

ᲒᲕ. 6

C M Y K

პრემიერ—მინისტრმა აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილების გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მეუღლესთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილების გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას პატივი მიაგო. ირაკლი ღარიბაშვილმა „ძმათა სასაფლაოზე" შეკრებილ გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა და როგორც მათთან საუბრისას აღნიშნა, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რათა ომში დაღუპულ გმირთა ოჯახებს ბოლომდე მხარში დაუდგეს.

"რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში, იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის ტრაგედია, რომლის შედეგებსაც დღესაც ვიმკით. სამწუხაროდ, ის ჭრილობა, იარა ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული. მე ქედს ვიხრი ომში დაღუპული თითოეული გმირი ვაჟკაცის წინაშე. ჩვენი სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ მათ ოჯახებს ბოლომდე მხარში დავუდგეთ. ეს არის ჩვენი პირდაპირი ვალდებულება", - განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ომის თავიდან აცილება სააკაშვილის ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო ვერ მოხერხდა.

"დღეს არ მსურს, ომის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრო. მე უკვე გავაკეთე განცხადება, რომ შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილება, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო ეს ვერ შევძელით და მივიღეთ დაკარგული ტერიტორიები, ათი ათასობით იძულებით გადაადგილებული დევნილი, რომლებიც დღესაც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობენ. ეს არის ის მძიმე შედეგი, რაც მივიღეთ. სწორედ ამ ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ფეხზე ვერ დადგა. მძიმე დარტყმა განიცადა ჩვენმა ეკონომიკამ. ეს იყო ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა ჩვენი ჯარისთვის. დანარჩენზე აღარ მინდა ვისაუბრო. ის რაც ვიხილეთ 2008 წელს, ეს იყო ტრაგედია ჩვენი ქვეყნისთვის", - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრებს შორის რუსეთი 65%-ით ლიდერობს

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის 7 თვეში მსოფლიოს 35 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 31 376 279 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 95%-ით მეტია.

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი, სადაც რუსეთი ლიდერობს 65%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში.

ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 7 თვის მონაცემებით 20 502 499 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი.

საჯარო დაწესებულებებში სამუშაო 9 საათზე დაიწყება

საჯარო დაწესებულებებში ახალი სამუშაო საათები პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება.ამასთან დაკავშირებით უკვე გამოქვეყნდა პრემიერ—მინისტრის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, საჯარო უწყებებში სამუშაო საათები 09:00 საათზე დაიწყება და 18:00 საათზე დასრულდება. ბრძანებულების მიხედვით, გათვალისწინებულია ერთსაათიანი შესვენება.

პრემიერ—მინისტრის ბრძანებულების მიხედვით, განისაზღვრა ის საჯარო დაწესებულებები, სადაც ახალი წესი არ გავრცელდება, მათ შორისაა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო: გენერალური ინსპექცია, საგამოძიებო დეპარტამენტი, სამედიცინო დეპარტამენტი, სისტემის სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება; გენერალური ინსპექცია, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლებისა და სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველო, შსს—ს სისტემაში შემავალი ის დანაყოფები, რომელთა უფლებამოსილებაშიც შედის ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო, სადაზვერვო, კონტრდაზვერვითი, სახანძრო-სამაშველო, საბრძოლო, ობიექტების/ტერიტორიის დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, დროებითი დაკავების/მოთავსების, სამორიგეო, საექსპერტო, საგანმანათლებლო, ფასიანი მომსახურების ან/და გარკვეული სპეციალური ფუნქციის განხორციელების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება;

ასევე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური; შემოსავლების სამსახურის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები; აგრეთვე, ის საჯარო მოსამსახურეები/პირები, რომელთათვისაც, დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილია განსხვავებული სამუშაო დრო.

რქაწითელზე სუბსიდია 35 თეთრი იქნება, საფერავზე - 15

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას განცხადებით, საქართველოს მთავრობა რთველის სუბსიდირებას წელსაც განახორციელებს. მინისტრის თქმით, რქაწითელის ჯიშის ყურძენზე სუბსიდია 35 თეთრი იქნება, საფერავზე 15 თეთრი. რთველის სუბსიდირების პროექტი მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განიხილეს.

აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ წელს მთავრობა რქაწითელსა და კახურ მწვანეზე სუბსიდიის თანხის შემცირებას აპირებდა, საფერავზე კი საერთოდ აღარ იქნებოდა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით წელს დაახლოებით 20%-ით მეტი ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი. რთველის საკოორდინაციო შტაბის გახსნა გურჯაანში 20 აგვისტოდან იგეგმება.

გასულ წელს, კახეთში 120 ათასი ტონა ყურძნის მოსავალი იყო მოსალოდნელი. ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული 84 კომპანიიდან 82 იყო კერძო და 2 სახელმწიფო (შპს „გრუზვინპრომი" და შპს „აკურა"), თუმცა რამდენიმე კერძო კომპანიის საწარმოში ყურძენს სახელმწიფო საწარმო იბარებდა. საღ ყურძენს ღვინის ქარხნები 1 ლარზე ნაკლებად არ იბარებდნენ.

5 ათასზე მეტი წამლის ურეცეპტოდ გაყიდვა აიკრძალება

5 ათასზე მეტი წამლის ურეცეპტოდ გაყიდვა აიკრძალება პირველი სექტემბრიდან.

ესენია: მეორე ჯგუფის მედიკამენტები: ანტიდეპრესანტები, საძილე საშუალებები, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები და იმუნომოდულატორები.

მოქალაქეებს რეცეპტის გარეშე მხოლოდ მესამე ჯგუფს მიკუთვნებული 3 ათას 306 მედიკამენტის შეძენა შეეძლებათ. ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე დაამტკიცა მეორე ჯგუფის მედიკამენტების რეცეპტების გამოწერის წესი და ფორმა ნომერი 3.

მინისტრის განცხადებით, რეცეპტურის ინსტიტუტის ამოქმედების მიზანი იმ მედიკამენტებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის შეზღუდვაა, რომელთა არასათანადო გამოყენებამ შესაძლოა ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას.

საგანგებო შემთხვევებისთვის, დავით სერგეენკოს თქმით, აფთიაქებში იქნება გადაუდებელი მედიკამენტების ნაკრები, რომელთა ყიდვაც ურეცეპტოდ იქნება შესაძლებელი.

საქართველოში ავტომობილის ახალი სანომრე ნიშნები ამოქმედდება

პირველი სექტემბრიდან საქართველოში ავტომობილის ახალი სანომრე ნიშნები ამოქმედდება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ცვლილება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.

პარლამენტმა 2014 წლის 8 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა ახალი სანომრე ნიშნების აუცილებლობა. სერიულ ნომრებზე ფასი რჩება იგივე და ის 35 ლარს შეადგენს. ავტომფლობელებს ნომრების შეცვლა 2020 წლის ბოლომდე შეეძლებათ.

აზერბაიჯანში გადასვლა შეიზღუდება

იცვლება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაადგილების წესი. შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს.

15 აგვისტოდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალაში შედის ახალი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც, "ევრო 4" სტანდარტის არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანქანის მფლობელი ანგარიშზე შეიტანს ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულების 30%-დან 40%-მდე საგარანტიო თანხას.

ეს ფული მას მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შემდეგ დაუბრუნდება. კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა აზერბაიჯანის მოქალაქის წერილობითი თანხმობა, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს.

საქართველოში ავტოპარკი ყოველწლიურად იზრდება

საქართველოს შს სამინისტრო „საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტ-ექსპორტის და ავტოპარკის სტრუქტურის შესახებ" სტატისტიკურ-ანალიტიკურ კვლევას აქვეყნებს. პრეზენტაცია მოიცავს ინფორმაციას საქართველოში რეგისტრირებული, ასევე, იმპორტირებული და რეექსპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ. პრეზენტაციაში გათვალისწინებულია: დინამიკა ავტოსატრანსპორტო საშუალებების კონკრეტული მახასიათებლებით; ავტოპარკის განახლების და გაახალგაზრდავების ტენდენციები; ავტოსატრანსპორტო საშუალებების განაწილება რეგიონების მიხედვით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ასევე, ფიზიკურ პირთა სქესის და ასაკის მიხედვით. საქართველოში ავტოპარკი ყოველწლიურად იზრდება. ავტოპარკის 60,9%-ს მსუბუქი ავტომანქანები შეადგენს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუხი და თეთრი ფერისაა. 2011-2013 წლებში საგრძნობლად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო და სპეცტექნიკის, მისაბმელების და მოტოტრანსპორტის რაოდენობა. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (90,9%) 2004 წლამდეა წარმოებული, თუმცა იზრდება 3 წლამდე ასაკის ავტო-მოტო ტრანსპორტის რაოდენობა.

საკადრო ცვლილებები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურებში საკადრო ცვლილებებია. ახალი ხელმძღვანელი ჰყავს რამდენიმე სამსახურს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის **პირველ მოადგილედ სოლომონ ღორაშვილი** დაინიშნა. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განუცხადა.

„მოგეხსენებათ, ძალაში ახალი თვითმმართველობის კოდექსი შევიდა, რომელმაც გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესით ვცდილობთ სამხსახურები ახალ კოდექსთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. მუნიციპალიტეტებში თანამდებობის პირი და მისი განსაზღვრება შემოვიდა. ამიერიდან, დაუშვებელია, გამგეობას გამგებლის ჩათვლით 13-ზე მეტი თანამდებობის პირი ჰყავდეს. პირველ მოადგილედ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენივე რიგებიდან სოლომონ ღორაშვილი დაგვენიშნა. საკმაოდ გამოცდილია, წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს... მოადგილის ადგილი ისევ ვაკანტური რჩება. მინდა, რომ ღირსეული, პროფესიონალი და საქმის მცოდნე შევარჩიოთ, რომელიც ყველაფერში გვერდით დაგვიდგება. ამ ეტაპზე არჩევანი გაკეთებული არ მაქვს,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

მესამე მოადგილის ადგილი, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროს კურირებდა, სავარაუდოდ, გაუქმდება.

დედოფლისწყაროს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – **მარინა შეითნიშვილია.** საფინანსო და ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურები გაერთიანდა, მას საფინანსო, საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური ეწოდა, რომელსაც **ელენე ბაიაშვილი** უხელმძღვანელებს. ამასთან, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი **ნონა ნატროშვილი** იქნება.

იურიდიული განყოფილება სამსახურად გარდაიქმნა, რომლის უფროსად **გოგი გონაშვილი** დაინიშნა.

ფუნქციები დაემატა ინფრასტრუქტურის სამსახურს. მისი ყოფილი ხელმძღვანელი სოლომონ ღორაშვილი გამგებლის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს, სამსახურის ახალი სახელწოდება ასეთია: ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - **დავით ფხოველიშვილი**.

ახალი ხელმძღვანელი ჰყავს ზედამხედველობის სამსახურს. მას სამხედრო აღრიცხვის სამსახურის ყოფილი შეფი **ვაჟა თეთვაძე** უხელმძღვანელებს, ხოლო სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსად - **ელიზბარ ალუღიშვილი** დაინიშნა, მანამდე ის დასუფთავების სამსახურს ხელმძღვანელობდა. ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ავთანდილ თეთრაული** ქონების მართვის განყოფილებაში სპეციალისტად გადაინაცვლებს.

> « ძალაში ახალი თვითმმართველობის კოდექსი შევიდა, რამაც ცვლილებები გამოიწვია. რეორგანიზაციის პროცესით ვცდილობთ სამსახურები კოდექსთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის უფროსი კვლავ **თამარ თამაზაშვილი** იქნება. სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსად **გოგიტა ნასრაშვილი** დარჩა.

თანამდებობებს ინარჩუნებენ სოფლის თავკაცებიც, თუმცა, ცვლილებების გამო მათ ამიერიდან არა სოფლის რწმუნებული, არამედ გამგებლის წარმომადგენლები ეწოდათ, რადგან გაუქმდა სოფლის ტერიტორიული ორგანოები და მათ ადმინისტრაციული ორგანო დაერქვა. 1 აგვისტოდან ხელშეკრულებით აღადგინეს სოფლების სპეციალისტებიც, რომელთა რიცხვი 40-ს აღემატება.

ცნობილია, რომ მიმდინარე წლის მაისში, უბედური შემთხვევის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა სოფელ არბოშიკის რწმუნებული, რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე თურმან კოჭლამაზაშვილი. მის ადგილას ადგილობრივი მკვიდრი **ემზარ სეხნიაშვილი** დაინიშნა.

„ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ სოფელი თავკაცის გარეშე ვერ დარჩებოდა, ამიტომ შევარჩიეთ ახალი კადრი. მთავარი პრინციპი ის იყო, რომ ყოფილიყო ადგილობრივი მკვიდრი, მოსახლეობის ნდობა და პატივისცემა ჰქონოდა და სოფლის ავ-კარგი სცოდნოდა. მისთვის უცხო არ უნდა იყოს სოფლის პრობლემები. სწორედ ამ ნიშნით მოხდა ამ ადამიანის შერჩევა. სოფლის მოსახლეობაც დაგვიდასტურებს ამას, რომ ძალიან ღირსეული, კარგი ახალგაზრდა შევარჩიეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხის მხარდაჭერა აქვს. თვითონაც არბოშიკელია, მშობლებიც იქ ცხოვრობენ. უმაღლესი განათლებითაა, სოფელზე ნამდვილად გული შესტკივა,“ – აღნიშნავს გამგებელი.

ცვლილებებია დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრშიც. ცენტრის უფროსმა **ნინო ბახუტაშვილმა** თანამდებობა დატოვა. აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელს საქმიანობაში გადაცდომები ჰქონდა, რის გამოც თანამდებობის დატოვება მოუწია. დედოფლისწყაროს გამგეობაში აცხადებენ, რომ ბახუტაშვილმა გათავისუფლების შესახებ განცხადება საკუთარი სურვილით დაწერა. გამგებელი ნორმების გადახვევას ადასტურებს, თუმცა გავრცელებულ ხმებს სხვა დარღვევების შესახებ უარყოფს.

„ქალბატონმა ნინომ თავად გადაწყვიტა, საკუთარ სახელოსნოებს მეტი დრო დაუთმოს, განცხადება დაწერა და თანამდებობიდან წავიდა. პატარა დარღვევები, შინაგანაწესის გადაცდომები, შესაძლოა, იყო, თუმცა ფინანსური დარღვევები არ ყოფილა. რამდენიმე თანამშრომელთან ურთიერთობაში უკმაყოფილება იყო. საკმაოდ დიდი სამსახურია და სექტემბრის თვიდან ვაპირებთ ორ ნაწილად გაიყოს,“ – აღნიშნა გამგებელმა.

თავის მხრივ ნინო ბახუტაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში საკუთარ გადაწყვეტილებას სამომავლო გეგმებს უკავშირებს. ამბობს, რომ ინფორმაცია მასსა და თანამშრომლებს შორის რაიმე სახის დაძაბულობის შესახებ ტყუილია.

„თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დავტოვე, იმიტომ, რომ მე რაღაც სხვა გეგმები მაქვს, სხვა პროექტი მაქვს წამოწყებული, დრო მჭირდებოდა და წამოვედი... არანაირად არ ვადასტურებ გადაცდომების და თანამშრომლებთან დაძაბულობის შესახებ ინფორმაციას,“ – აცხადებს ბახუტაშვილი.

თანამდებობა დატოვა სათნოების სახლის ხელმძღვანელმა **ციცო დარჩიაშვილმაც.** 5 აგვისტოს თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს ახალ ხელმძღვანელის პოსტზე **მარინა ტოკლიკიშვილი** უკვე წარუდგინეს.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში განმარტავენ, საკრებულოს თავმჯდომარის ვადის ამოწურვა იწვევს სათნოების სახლის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას. ცვლილებაც სწორედ ამ გარემოებას უკავშირდება.

ამ დრომდე არცერთი თანამშრომელი არ გათავისუფლებულა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოდან. საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარე **ზვიად ჯავახიშვილი** პირველივე დღეს აცხადებდა, რომ თანამშრომლებს გაესაუბრებოდა და საკადრო ცვლილებები მოსალოდნელი იყო. ჯავახიშვილი ყოფილი მმართველი გუნდის მხარდამჭერთა თანამდებობაზე დატოვების ფაქტს არ უარყოფს და აცხადებს, რომ ყოველი მათგანი პროფესიონალია. „ახალი ხელისუფლება, წინა ხელისუფლების მსგავსად, პოლიტიკური ნიშნით თვითმმართველობაში თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებას ეწინააღმდეგება. ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებენ და მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ყველა ადამიანს აქვს თავისი სუბიექტური აზრი და მე ვფიქრობ, ამის გამო ადამიანები არ უნდა დაითხოვონ სამსახურიდან,“ - აღნიშნა ჯავახიშვილმა.

შეგახსენებთ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტებში მოსამსახურეთა ზღვრული რაოდენობა დაწესდა.

ახალი კოდექსის თანახმად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა რიცხვი 87-ს არ უნდა აჭარბებდეს, ხოლო შტატგარეშე თანამშრომელთა ოდენობა რვას არ უნდა აღემატებოდეს. ამჟამად არსებული რაოდენობა ბევრად აჭარბებს.

მსგავსი რეგულაციები სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოქმედებს და ის ამომრჩეველთა რაოდენობით განისაზღვრება.

ამ დრომდე ისევ ვაკანტური რჩება კულტურისა და სპორტის ცენტრის, ასევე დასუფთავების სამსახურის უფროსის სავარძლები.

ილია მარტყოფლიშვილი

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის პოსტზე კონკურსი გამოცხადდება

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობა ვაკანტურია. მიხეილ ბახუტაშვილმა პოსტი მას შემდეგ დატოვა, რაც საკრებულოს დეპუტატი გახდა, მოგვიანებით კი ის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

„კანონის მოთხოვნაა, რომ რადგან საკრებულოში თანამდებობაზე ამირჩიეს, დაუშვებელია პარალელურად სხვა თანამდებობას ვიკავებდე. დავწერე განცხადება და რესურსცენტრის უფროსის ადგილი დავტოვე. თუმცა, საკრებულოს ის კომისია, რომელიც მე მაბარია, ამავე სფეროებში მუშაობას მავალდებულებს,“ - განუცხადა „შირაქს“ მიხეილ ბახუტაშვილმა.

შეგახსენებთ, ბახუტაშვილმა რესურსცენტრის ხელმძღვანელის კონკურსი 2013 წლის მაისში მოიგო, იმხანად კონკურსში მასთან ერთად მაია ქართველიშვილიც მონაწილეობდა, რომელმაც ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა.

მისმა წინამორბედმა, ლევან ჯამალაშვილმა თანამდებობა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დატოვა, რის შემდეგაც მოვალეობას ბახუტაშვილი ასრულებდა.

ამჯერად, რესურსცენტრის უფროსის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, სავარაუდოდ, კონკურსი გამოცხადდება.

ილია მარტყოფლიშვილი

აგვისტო, ჩვენი მოურჩენელი ტკივილი

მეექვსედ მოვიდა ტკივილიანი აგვისტო ჩვენს ქვეყანაში. თუმცა ყოველდღე გვახსოვს დედასაქართველოს მოწყვეტილი ჩვენი აფხაზეთი და სამაჩაბლო, ვუცქერით იძულებით გადაადგილებულ პირთა გასაჭირს, მაინც 7აგვისტოს გათენება უზომოდ ტკივილიანი და სევდიანია. ამ დღეს, ტრადიციულად, კიდევ ერთხელ ვიხსენებთ და პატივს მივაგებთ იმ ჯარისკაცების და უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების ხსოვნას, ვინც ამ ხუთ გაუსაძლის დღეს შეეწირა.

8 აგვისტოს დედოფლისწყაროს საზოგადოებამ თავი მოიყარა მამულისთვის თავდადებულ გმირთა მემორიალთან. აქ მოვიდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, გამგეობის, საკრებულოს, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გმირთა სულების მოსახსენებლად ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა მემორიალთან პარაკლისი გადაიხადეს.

-ტკივილიანია ეს , დღე ნათელში იყოს მათი სულები. მთავარი მიზეზი, რატომაც მოხდა ეს ყველაფერი იმაშია, რომ, სადაც არ არის უფალი, არ არის სიყვარული, გონიერება და სიბრძნე. ვიდრე არ გვექნება შესაბამისი დამოკიდებულება ღვთის მიმართ, ჩვენი ისტორია ტრაგიზმით იქნება გაჯერებული. ღმერთმა დალოცოს დღევანდელი ხელისუფლება, ეკლესია, პატრიარქი და მოგვანიჭოს უფალმა გულწრფელი რწმენა, რომ ღვთის შეწევნით დაიძლიოს წინააღმდეგობები. ღმერთმა გააძლიეროს და გაამთლიანოს ჩვენი ქვეყანა, ნათელში იყოს მამულს შეწირული გმირების სულები, ღმერთმა დალოცოს თითოეული ქართველი და სრულიად საქართველო, -თქვა თავის ქადაგებაში დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლის **დეკანოზმა პეტრემ.**

შეკრებილთ სიტყვით მიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა:** დღევანდელი დღე ტკივილითა და სიამაყითაა გაჯერებული. ტკივილით იმიტომ, რომ ბევრი ჯარისკაცი და უდანაშაულო ადამიანი შეეწირა ამ ომს, სიამაყით იმიტომ, რომ ჩვენ გვყვავს ისეთი არმია, რომელსაც შეუძლია, მოიგერიოს მტერი და დაიცვას მამული. ეს დავითის და გოლიათის შერკინებას ჰგავდა. ამხელა იმპერია შეაჩერა და გადაარჩინეს ქვეყანა ჩვენი თანამემამულეების გიორგი აბიათარის, გოჩა ილურიძის, თემურ ბერიძის და ბონდო კახოიძის მსგავსმა გმირმა ჯარისკაცებმა.

სწორედ მათი დამსახურებაა, ჩვენ რომ აქ ვართ დღეს, მათ სახელს დავიწყებას არ მივცემთ. ჩვენს გვერდზე დგანან ბავშვები, რომლებსაც უნდა ვასწავლოთ, ვინ არიან ეს გმირები, აქ არიან დედები, რომლებსაც დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, ასეთი ვაჟკაცების გაზრდისთვის. ეს მემორიალი იმ ყველა მებრძოლის სახელს და გვარს ინახავს, ვინც, სხვადასხვა დროს, თავი შესწირა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. მინდა, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ თითოეული მათგანის ხსოვნას, - თქვა მან.

აგვისტოს ომის ისტორიას მიუძღვნეს მრავალი ლექსი და ფრთიანი სიტყვა დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **ანა დავითაშვილმა** და **მარიამ ხარაზიშვილმა.** შინმოუსვლელ გმირებს უმღერეს ვაჟთა ანსამბლ **„ხორნაბუჯის"** წევრებმა.

მიტინგის მონაწილეებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, სოფელ სამრეკლოში გიორგი აბიათარის საფლავზე გადაინაცვლეს, სადაც მათ გიორგის თანამებრძოლები შემოუერთდნენ.

ნაირა გორაშვილი

გმირების გაცოცხლებული ისტორიები

„აგვისტო რომ მოახლოვდა, ნელზე ვიგრძენი ხელის მოჭერა, გიორგი სახლამდე მომყვა"

გაზეთი „პრაიმ-ტაიმი" წელს მეხუთედ მართავს ხსოვნის კვირეულს. აგვისტოს ომში და ავღანეთში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება 5 აგვისტოს 15 საათზე გაზეთ "პრაიმტაიმის" რედაქციაში შედგა. დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების წევრების გარდა ღონისძიებას პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც სიტყვა წარმოთქვეს და გმირი დედების წინაშე ქედი მოიხარეს. „პრაიმ-ტაიმი" გთავაზობთ სამშობლოსთვის თავდადებულ ჯარისკაცთა გმირი დედებისგან მონათხრობ საოცარ ისტორიებს.

ლიზა აბიათარი (გიორგი აბიათარის დედა): ჩემი შვილი 18 წლის გახდა თუ არა, აგვისტოს ომში მოხალისედ წავიდა. რამდენჯერმე დააბრუნეს, კლასელებთან ერთად მოხალისედ მაინც წავიდა. ომში ორი თვის და ათი დღის წასული იყო 8 აგვისტოს კასეტური ბომბები რომ ჩამოყარეს და პირველი მსხვერპლი ოთხი კახელი ბიჭი იყო, მათ შორის იყო გიორგი. - გოჩა ილურიძე, ბესიკ მამიაური, ილია შევერდაშვილი და ჩემი გიორგი ერთ კასეტურ ბომბზე აფეთქდნენ.

გიორგის წლისთავზე სახლის კარებში ორი მერცხალი შემოფრინდა. გოჩა და გიორგი იყვნენ-მეთქი, მაშინვე ვთქვი. 5 აპრილს გიორგის დაბადების დღესაც შემოფრინდა მერცხალი. დედა გენაცვალოს, ალბათ, შენ მოხვედი-მეთქი, ვუთხარი. ახლახან, აგვისტო რომ მოახლოვდა, ეზოში მივდიოდი და ვიგრძენი უკან წელზე ძალიან მაგრად მომიჭირა ხელი. გიორგი იყო... წამოდი, დედა, არ გშია-მეთქი, ვუთხარი. ვიგრძენი სახლამდე მომყვა მისი ენერგია. ძალიან ძლიერი იყო, არ ვიცი სიკვდილი როგორ მოერია. შეიძლება თქვან, დედის ფანტაზიის ნაყოფიაო, მაგრამ მე ჩემ შვილს ყოველთვის ვგრძნობ...

მადლიერება

დედას, რომელსაც შვილი მოუკვდება, დარჩენილი სიცოცხლე გამწარებული აქვს, მაგრამ, როცა დარდის გამზიარებელი და გულშემტკივარი ბევრი ჰყავს, როცა მისი შვილის თავდადება სამშობლოს წინაშე დანახული და დაფასებულია, ოდნავ შვების მომგვრელია. ისე როგორც ბევრმა ახალგაზრდამ, ჩვენი რაიონის ოთხმა ჭაბუკმა გიორგი აბიათარმა, გოჩა ილურიძემ, თემურ ბერიძემ და ბონდო კახოიძემ 2008 წლის აგვისტოს ომში თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებას. მას მერე მეექვსედ მოვიდა ჩვენთვის ტკივილიანი 9 აგვისტო. გამხსენებელი ბევრი ჰყავს ჩვენს შვილებს, მაგრამ გამორჩეულად მადლობა მინდა ვუთხრა გაზეთ „პრაიმ-ტაიმის" რედაქციის მთელ კოლექტივს იმ ყურადღებისათვის, რასაც ისინი იჩენენ ჩვენი შვილების ხსოვნის პატივსაცემად. თაკო ჩხეიძემ, თავის გუნდთან ერთად, დიდი შრომა გასწია, შეკრიბა და წიგნად გამოსცა აგვისტოს ომში დაუპულ გმირთა ბიოგრაფიები და მათი მოღვაწეობა. წიგნი „გმირები" ჩვენი შვილების უკვდავებაა. გაზეთის რედაქციას არც ერთი აგვისტო არ გამოუტოვებია, ამ ბიჭების მშობლები რომ არ მიეწვია, შეხვედრა არ გაემართა და მადლობა არ ეთქვა მათი გაზრდისთვის. ასე იყო მიმდინარე წლის 5 აგვისტოსაც. შეხვედრის ადგილი უცვლელია– ყველა დედა მოუთმენლად ველოდებით ამ დღეს. დიდ მონიტორზე ტრიალებდა ჩვენი შვილების გაცოცხლებული სახეები და გვამხნევებდა, რომ ტყუილად არ დაღვრილა მათი სისხლი. აქ ყოველწლიურად თავს ვიყრით შაოსანი დედები და ერთმანეთს დარდს ვუზიარებთ. ჩვენს გვერდზე არიან ისეთი დედებიც, რომლებსაც შვილის საფლავის ნომერი აქვთ მხოლოდ და ჩვენ დაგვნატრიან, შვილის საფლავზე სანთლის დანთება და მოხსენიება რომ შეგვიძლია. ყველა იმ დედის სახელით, ვისაც არ ივიწყებს გაზეთ „ პრაიმ-ტაიმის" რედაქცია, დიდ მადლობას ვუხდი მათ ყურადღებისა და თანადგომისათვის. უფალს კი შევთხოვ, აღარ ენახოს ჩვენს ქვეყანას ომი, აღარ გამწარდნენ მშობლები, შვილები, მეუღლეები, გამრავლდეს და გაიხაროს ჩვენმა მომავალმა თაობამ.

ყველა მშობლის სახელით
გიორგი აბიათარის დედა ლიზა აბიათარი.



გვახსოვდეს ჩვენი უშიშარი და მებრძოლი სულის ვაჟკაცები

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ერმა 2008 წლის 7-12 აგვისტოს დღეები გადაიტანა,როცა აგვისტო დგება, მუდმივად მახსენდება ის ტკივილითა და ცრემლით სავსე წამები...ორი თვის ახალშობილი შვილი მეჭირა ხელში, მეუღლე ზურგზე ავტომატგადაკიდებული მოვიდა, გვაკოცა მე და ბავშვებს და დაგვემშვიდობა, თუ ვერ დავბრუნდი, გამაგრდი და ბავშვებს მიმიხედეო..., დამიბარა და წავიდა. იმ სიტყვების სიმწარე დღემდე მახსოვს და, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება. ესეც ჩემი დაბადების დღის მოლოცვა-მეთქი, ვიფიქრე, 13 აგვისტოს ჩემი დაბადების დღე იყო, მაგრამ ვის ახსოვდა დაბადების დღე! მერე იყო ხუთდღიანი კოშმარი, გაუთავებელი რეკვა ტელეფონზე და ზონიდან გასულობის გამო, მუდმივი უპასუხო ზარები. ეს იყო კოშმარული ხუთი დღე, რომელიც მუდმივად შეგვახსენებს ყველა ქართველს თავს, როცა 7 აგვისტო დადგება, როცა რუსები კიდევ ერთხელ გადმოსწევენ მათულლხლართებს და ყოველთვის, ყოველთვის. რა თქმა უნდა, ექვსი წლის შემდეგაც გაუნელებელია ულამაზეს ქართველ ვაჟკაცთა დაკარგვით გამოწვეული ტკივილი საქართველოსთვის. ...ამის დავიწყება შეუძლებელია... რუსეთმა სამუდამო დაღი დაასვა საქართველოს: ჩვენი გმირების სიცოცხლე შეიწირა...

შესაძლოა, ისტორიისთვის 7 აგვისტოდან 12 აგვისტომდე გავლილი დრო არაფერია, ომგამოვლილისთვის კი,მთელი ცხოვრებაა. თითოეული წვეთი სისხლი, თითოეული დაღუპული ჯარისკაცი თუ მშვიდობიანი მოქალაქე ქართული სახელმწიფოსთვის უზომო დანაკლისია. მინდა, ასეთი გმირების შესახებ მოგიყვეთ, რომელიც შესაძლოა, ყველამ არ იცოდეს.

გოგიტა მაკრახიძე - უფროსი სერჟანტი, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

"ნანო, წავედი, სამშობლო უნდა დავიცვაო" – ასე დაემშვიდობა დედას გორის რაიონის სოფელ შერთულში მცხოვრები ჯარისკაცი გოგიტა მაკრახიძე... იგი ოთხი წელი მსახურობდა საკონტრაქტო ჯარში,აგვისტოს ომის დაწყების დღიდანვე წინა ხაზზე იბრძოდა. ერთ-ერთი დავალების შესრულების დროს მძიმედ დაიჭრა... მან დაქორწინებაც ვერ მოასწრო. ბიჭებს ეუბნებოდა: თუ ომი მოვიგეთ და შინ მშვიდობით დავბრუნდით, მალე დავქორწინდები და ქორწილში მაგრად გაქეიფებთო, მაგრამ ასე არ მოხდა...

საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ბევრ ასეთ ისტორიას მიოისმენთ. აგვისტოს ცხელი და სისხლიანი დღეების ქრონიკა,ალბათ მთელი ცხოვრება გვემახსოვრება...

* * *

2008 წლის 11 აგვისტოს დილის 10 საათზე, რუსეთის 53-ე არმიის 70-ე მოტომსროლელი პოლკი ცხინვალის დასატოვებლად ემზადებოდა. მეომრებს შორის იყო ვინმე დროზდოვი, რომელსაც ბატალიონის მეთაურის (გრიგორი ხარიტონოვი) თქმით, სარატოვში ქართველი მეგობარი ჰყავდა.

არმია ნიქოზისკენ მიდიოდა, უეცრად კოლონა ქართული არტილერიის ცეცხლის ქვეშ მოექცა. ჯარისკაცები თავზარდაცემულები უყურებდნენ როგორ ეკიდა ცეცხლი ტანკებს და მძიმე ტექნიკას, იყვნენ დაღუპულებიც.

II ბრიგადის საშტაბო ასეული სოფელ ყელქცეულადან გორისკენ მიემართებოდა. მათ არ ჰქონდას რადიოკავშირი და ასეულის ხელმძღვანელობამ არ იცოდა, რომ გორამდე არცერთი ქართული შენაერთი აღარ იმყოფებოდა.

სოფელ შინდისთან ასეულმა ტანკები შენიშნა, ერთ-ერთ ტანკს ქართული დროშა ქონდა დამაგრაბელი, რაც ქართველებმაც შეამჩნიეს და აუღელვებლად გაგრძელეს გზა. უეცრად, რკინიგზასთან, გამაყრუებელი ხმა გაისმა, კოლონის პირველი და ბოლო მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია, შიგ მსხდომებმა გადმოსვლა ვერ მოასწრეს... ასეულის მეთაური მიხვდა, რომ ის ტანკები რუსული იყო და დროშა სატყუარა.

ამ დროს რუსული კოლონა უხალისოდ მიდიოდა და ბატალიონის მეთაური, ხარიტონოვიც დუმდა. დუმილი რადიოკავშირმა დაარღვია, რომელმაც მათ აცნობა, რომ რუსული დაჯგუფება შინდისთან ქართველების ჩასაფრებაში მოჰყვა და ითხოვდნენ დახმარებას. ხარატონოვი მეომრებთან ერთად შინდისისკენ გაემართა.

შინდისში, რუსების მეთაური გაოგნებული იყო ქართველების წინააღმდეგობით. გრიგორ ხარატონოვმა გადაწყვიტა, რომ ისინი არ ეყოფოდნენ ქართველებს და რადიოკავშირის საშუალებით კიდევ ერთი დამხმარე ჯგუფი და მძიმე ტექნიკა გამოიძახა.

რიცხობრივმა უპირატესობამ ბოლოს მაინც თავისი გააკეთა და ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

ადგილზე მისული რუსები გაკვირვებულები დარჩნენ.

ხარიტონოვი და მეორე მეთაური გაოგნებულები და გაქვავებულები იდგნენ, გვამები გადათვალეს და მხოლოდ 12 კაცი აღმოჩნდა.

ჯარისკაცი საშა დროზდოვი გაოცებული იდგა და არ სჯეროდა, რომ მათ თითქმის ასეულს, მხოლოდ 12 ქართველი ებრძოდა. ბატალიონის მეთაური ხარატონოვი მდუმარედ იდგა და ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს...

-აი ასეთი ბიჭები, რომ მყოლოდა იქ...- ჩაილაპარაკა და გაბრუნდა. დროზდოვმა კი გაიფიქრა რომ იგი ჩეჩნეთს გულისხმობდა..

შინდისის უთანასწორო ბრძოლას სულ 17 ქართველი შეეწირა, მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნა თითქმის ყველა სახის იარაღი, ტანკების 125მმ-იანებით დაწყებული ნაღმტყორცნებით, სხვადასხვა ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით დამთავრებული.....

გიორგი ანწუხელიძის წარმოუდგენელი გმირობა

გიორგი ანწუხელიძე - უმცროსი სერჟანტი, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით

„მნიშვნელობა არა აქვს, ადრე მოკვდები თუ შედარებით გვიან, რადგანაც ბოლო მაინც ეგ არის. მთავარია, თუ როგორ მოკვდები და რის ჩადენას მოასწრებ..."

გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი".

დღეს საქართველოში თითქმის ყველამ იცის, ვინ იყო გიორგი ანწუხელიძე. იციან, რომ საქართველოს ერთგულმა ჯარისკაცმა, 2008 წელს, რუსეთ—საქართველოს ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილმა, ოსური ბანდფორმირებებისა და რუსი ოკუპანტების მხრიდან სასტიკი წამების მიუხედავად, არც დაიჩოქა, არც საქართველოს დროშას დააბიჯა ფეხი და არც მიწას აკოცა, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდნენ მისგან. მისი წამების დროს, როცა ვერ გატეხეს, რამდენიმე გაოცდა კიდეც. „რა მაგარი ვინმეა, უყურებ?", —ისმის ვიდეოში, რომელიც ერთ—ერთმა ჯალათმა გადაიღო. მტრები გააოცა ქართველი ჯარისკაცის სიმტკიცემ, მაგრამ ისინი მე—13 საუკუნის მონღოლებზე დაბალი შეგნებისანი აღმოჩნდნენ- გიორგი ანწუხელიძეს ცოტნე დადიანის მსგავსად კი არ მოექცნენ, ჯერ წიხლებით შესდგნენ, მერე კი დახვრიტეს. როცა გიორგის ცხედარი, ბოლოს და ბოლოს, იპოვეს, მას არცერთი კბილი არ ჰქონდა შერჩენილი... სახეში ურტყამდნენ, ეკითხებოდნენ, გუშინ რა ადგილას იყავით პოზიციებზეო, თავზე ფეხს ადგამდნენ და ზურგსუკან ხელებშეკრული ჯარისკაცის ქედის მოდრეკას ცდილობდნენ, რათა მას მიწისთვის ეკოცნა, მაგრამ გიორგი, როგორც კი ჩექმას კისრიდან მოაცილებდნენ, თავს მაღლა სწევდა და მხოლოდ სისხლს აფურთხებდა. ყველა კითხვაზე ერთსა და იმავეს ლუღლუღებდა: „აზრზე არ ვარ..." გიორგი ანწუხელიძე ალვანელი თუში იყო და ომამდე და ჯარისკაცობამდე ისევე ცხოვრობდა, როგორც ჩვეულებრივი, მთის მოყვარული და მთის შვილი ბიჭები ცხოვრობენ. მერე იყო ჯარისკაცობა, ერაყი და 2008 წლის აგვისტო. იგი 41—ე ბატალიონის ჯარისკაცი გახლდათ... 9 აგვისტოს გაუჩინარებული გიორგის ასავალ—დასავალი არავინ იცოდა. 5 თვის განმავლობაში არ ჩანდა. 5 თვის განმავლობაში, მისი ოჯახის წევრებს მისი გამოჩენის იმედი არ დაუკარგავთ. მერე კი საზარელი ამბავი შეიტყვეს. მაგრამ მთავარი გამოცდა წინ ელოდათ. ომის დასრულებიდან სულ ცოტა ხანში ინტერნეტით გავრცელდა გიორგი ანწუხელიძის წამების კადრები. დაუდგენელია, ვინ ატვირთა ეს კადრები ინტერნეტში, მაგრამ ფაქტია, რომ ჯალათებმა, მათდაუნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს გიორგის გმირობის პოპულარიზაციას: მისი გმირობის შესახებ უკვე არამარტო საქართველოში იციან. გიორგის მეუღლემ, მაკამ ამ საზარელი კადრების მხოლოდ დასაწყისი ნახა... დღემდე ვერ სძლია თავს, რომ დანარჩენს უყურეს... სხვათა შორის, 2009 წელს შსს—ს თანამშრომლებმა ოსი ბოევიკი, ცხინვალის მილიციის ერთ—ერთი შეფი, სოსლან პუხაევი დააკავეს, რომელიც გიორგი ანწუხელიძის წამებაში აქტიურად მონაწილეობდა. იგი კადრებში არ ჩანს, მაგრამ ისმის ხმა, როგორ აგინებს ქართველ ჯარისკაცს და ეუბნება: „მიწას აკოცე!". ალბათ, ქართველი ჯარისკაცის წამების დროს პუხაევი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სულ რაღაც ერთ წელიწადში მას მოუწევდა ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა. დღეს გიორგი ანწუხელიძე 26 წლის გახდებოდა. როგორი მძიმეც უნდა იყოს, გთავაზობთ კადრს, რომელიც, ალბათ თქვენს უმრავლესობას ნანახი აქვს...

მის განკარგულებაში მყოფი ბიჭები ორჯერ უვნებლად გამოიყვანა და ორჯერვე შებრუნდა უკან - სხვების გამოსაყვანად. მხარში იყო დაჭრილი, მაგრამ არად ჩააგდო. ბიჭებმა უთხრეს - სახლში ცოლ-შვილი გელოდება, სადღა შერბიხარო და ამაზე უპასუხა - ვინც იქედან უნდა გამოვიყვანო, იმათ ჯერ არც ცოლი ჰყავთ და არც შვილებიო...

ზაზა ფერაძე - უფროსი სერჟანტი, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

ცხინვალში შებრუნების შემდეგ ერთი ტყვია ხელში მოხვდა, მაგრამ უკან არ დაუხევია. სნაიპერი მუშაობდა და 7 ქართველი მოკლა. ზაზამ აღმოაჩინა სნაიპერის ადგილსამყოფელი და მისკენ შეუმჩნევლად წავიდა. ბიჭები ამბობენ, სნაიპერი ვერ ხედავდაო, მაგრამ მისგან მოშორებით მყოფ ქართველს როცა ესროლა, ზაზა შებრუნდა და მასთან მივიდა - იქნებ ვუშველოო. სწორედ მაშინ შენიშნა და გამოასალმა სიცოცხლეს სნაიპერმა...

ზაზა 1973 წლის 16 თებერვალს, შორაპანში დაიბადა. აფხაზეთში იბრძოდა, მერე სამხედრო საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა და ერაყშიც წავიდა. იქედან დაბრუნებულმა ლამაზი ოჯახიც შექმნა: ნათიასა და ზაზას სიყვარული ქორწინებით გამტკიცდა და ერთი წლის თავზე დემეტრე, ზაზას გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ კი ანასტასია გაჩნდა.

ნათია, ზაზა *ფერაძის მეუღლე:* **„2 წელი ისე ვიცხოვრეთ, არც კი გვიკამათია. უდიდესი სიყვარული შეეძლო, ამ ხნის განმავლობაში გათენება მიხაროდა. როცა დემეტრე დაიბადა და სამშობიაროში შეიყვანეს, რომ შვილი ენახა, მივიდა და დახედა. ბავშვი შებრუნებული იყო. დაუძახა**

(გაგრძელება გვ.7)

ფრთხილად, მენინგიტია!

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია ჩვენს რაიონში ვირუსული მენინგტით დაავადების შემთხვევის შესახებ. აღნიშნულის გადასამოწმებლად ჩვენ დავუკავშირდით დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილეს ლალი ალადაშვილს.

- ქალბატონო ლალი, რას გვეტყვით, საზოგადოებაში გავრცელებული ხმა ქალაქში მენინგიტით დაავადების შემთხვევის შესახებ შეესაბამება სინამდვილეს თუ არა?

- დიახ, ვადასტურებ, იყო ერთი შემთხვევა. მოქალაქე ნინო ზარიძე დედაქალაქში მკურნალობას იტარებდა. დაბრუნების შემდეგ მას ვირუსული მენინგიტის ნიშნები გაუჩნდა, მაგრამ რადგან ჩვენთან ამ ტიპის დაავადებაზე ლაბორატორიული კვლევის საშუალება არ არის, ის გაიგზავნა თბილისში დიაგნოზის დასადასტურებლად. მას დაუდგინდა ვირუსული მენინგიტი და დაიწყო ინტენსიური მკურნალობის ეტაპი, საბედნიეროდ, ქალბატონი ნინო დღეს უკვე გამოჯანმრთელებულია და ოჯახს დაუბრუნდა.

- მისი ოჯახის სხვა წევრებსაც ხომ არ ემუქრება დაავადების საშიშროება?

- გამოკვლეული არიან მისი შვილები, მაგრამ მათ მხოლოდ 24 საათიანი რესპირატორული ინფექცია დაუდგინდათ და მალევე გაეწერნენ საავადმყოფოდან. მეთვალყურეობა დაწესდა მის ახლობლებზე, მეზობლებზე, თანამშრომლებზე, მაგრამ არავის მენინგიტური ჩივილები არ გასჩენია.

-წარმოადგენს თუ არა დღეს ინფექციის გავრცელების წყაროს ქალბატონი ნინო?

-არა, ინფექციის გადაცემის პერიოდმა უკვე გაიარა. მისი ხანგრძლივობა 6-7 დღეა. ეს დრო, ამ შემთხვევაში, უკვე გასულია. მაგრამ თავს უსაფრთხოდ ვერ ვიგრძნობთ, რადგან ქვეყანაში ინფექცია არსებობს. ახლა ზაფხულია, დედაქალაქიდან თუ სხვა რაიონებიდან, სოფლებიდან დიდია დენადობა. ჩვენს რაიონსაც არ აკლია სტუმრიანობა, სწორედ ამიტომ, უნდა ვიყოთ ფრთხილად და ცხელების და მენინგიტისთვის დამახასიათებელი სხვა სიმპტომების გამოვლენისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ექიმს.

-მოდით, უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ ვირუსულ მენინგიტზე, რა არის მისი გამომწვევი, როგორია დინამიკა?

-2014 წლის გაზაფხულზე საქართველოში დაიწყო ვირუსული მენინგიტით დაავადებულთა რაოდენობის მატება. ვირუსული მენინგიტის გამომწვევი მრავალია. ამჟამად მატება უპირატესად უკავშირდება ენტეროვირუსულ ინფექციას, რომელსაც 4-5 წლიანი ციკლურობა ახასიათებს და 2006, 2010 წლების მატების შემდგომ, მიმდინარე სეზონზე ეს უკვე პროგნოზირებული იყო. რეგისტრირებული შემთხვევების შესწავლით გაირკვა, რომ ვირუსული მენინგიტის შემთხვევები უპირატესად დაფიქსირდა თბილისში, შემდეგ ქუთაისში და ბათუმში. ყველა შემთხვევა მიმდინარეობდა საშუალო და მსუბუქი ფორმით. სიკვდილი არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, დაფიქსირებულ ვირუსულ მენინგიტებს შორის მინიმალური ასაკი იყო ორი წლის, ხოლო მაქსიმალური-34 წლის პაციენტი.ზოგადად, მენინგიტით შეიძლება დაინფიცირდეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი, მაგრამ ჩვილები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები და დასუსტებული იმუნური სისტემის პირები იმყოფებიან რისკის ქვეშ.

- რა გზით გადაეცემა ვირუსი ადამიანს?

- ენტეროვირუსის გადაცემის მექანიზმი არის ფეკალურ-ორალური, რაც ნიშნავს, რომ ინფიცირება შესაძლებელია ფეკალიებით დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხების შემდგომ დაუბანელი ხელის ცხვირის, პირის, თვალების ლორწოვანთან შეხებით.

-რა სიმპტომები ახასიათებს მენინგიტურ ვირუსს?

-ვირუსული მენინგიტი ხასიათდება ტემპერატურის უეცარი მატებით, თავის ტკივილით და კისრის დაჭიმვით, მას ხშირად ახლავს შემდეგი სიმპტომები: გულის რევა, ღებინება, შეცვლილი ცნობიერება, გაღიზიანებადობა, კისრის დაჭიმვა, მკაფიო სინათლეზე სენსიტიურობა, ძილიანობა, უმადობა.

- მხოლოდ ეს სიმპტომებია საკმარისი დაავადების დასადგენად?

-მენინგიტის დიაგნოსტირება ხდება ცხვირ-ხახის რექტალური ნაცხის, ფეკალის, თავზურგტვინის სითხის და სისხლის შრატის ლაბორატორიული კვლევით. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი კვლევის საშუალება რაიონში არ გვაქვს და ეჭვის შემთხვევაში, პაციენტებს დედაქალაქში ვაგზავნით. ჩვეულებრივ, არ არსებობს ვირუსული მენინგიტის სპეციფიური მკურნალობა. მკურნალობა მიმდინარეობს სიმპტომურად.

- როგორ ავიცილოთ თავიდან დაავადება?

-არ არსებობს ვაქცინა ვირუსული მენინგიტის გამომწვევის სანინააღმდეგოდ. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია შემდეგი ქმედებები: ხელების ხშირი დაბანა, განსაკუთრებით პამპერსის გამოცვლის, საპირფარეშოს ხმარების, ხველების, დაცემინების შემდეგ, ხშირად შეხებადი ზედაპირების სველი წესით დასუფთავება ან დეზინფექცია (როგორიც არის კარის სახელური და ა. შ.), კოცნის და ჭურჭლის გაზიარების თავიდან აცილება. საზაფხულო არდადეგების დაწყებასთან დაკავშირებით გაზრდილია ბავშვთა კონტაქტები. ხდება ბავშვთა გადაადგილება ქალაქიდან სოფელში და პირიქით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ დაავადების თავიდან აცილების მიზნით მითითებული რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს თქვენი და თქვენი შვილების ჯანმრთელობას.

-გმადლობთ, იმედია, საზოგადოება მაქსიმალურად გაითვალისწინებს თქვენს რჩევებს და პრევენციული ღონისძიებებით თავიდან აიცილებს დაავადებას.

ნაირა გორაშვილი

„კეთილი სამარეული“ კვლავ დედოფლისწყაროშია

ამ დღეებში კიდევ ერთი კეთილი საქმე გაკეთდა დედოფლისწყაროში, კიდევ ერთი სასიხარულო აქცია ჩატარდა: ორგანიზაცია „კეთილი სამარეული“-ს წარმომადგენლები ჩვენს რაიონს კვლავ ეწვივნენ და რიგით მეშვიდე აქცია მოაწყეს. აქციის მიზანი კეთილშობილურია, ისინი არაფერს არ ითხოვენ, ისინი საჩუქრებს ურიგებენ ჩვენს ბავშვებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარეულის“ წარმომადგენელი ჩვენს რაიონში კომპანია „სილქნეტის“ დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერი და ხელმძღვანელი ზურაბ ჯორკოშვილი გახლავთ. სწორედ ბატონი ზურას ინიციატივითა და დიდი მონდომებით „კეთილმა სამარეულმა“ უკვე მეშვიდე ჰუმანიტარული აქცია გამართა. ნიშანდობლივია, რომ მათ რაიონის უკვე არაერთი სოფლის და საბავშვო ბაღის ბავშვებს დაურიგეს ფასიანი ამანათები. ამჯერად „კეთილი სამარეულისგან“ სასაჩუქრე ამანათების მიღების ბედნიერება მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლას და №4 საბავშვო ბაგა-ბაღს ხვდა წილად. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს და №4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს პირადად გადასცეს სასაჩუქრე ამანათები.

-„აღნიშნული აქციით ძალიან კმაყოფილები ვართ და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თქვენც ხედავთ, რამდენი ბავშვია თავმოყრილი ჩვენს ეზოში და რამდენის გული უნდა გაახაროს ამ ხალხმა, ამიტომ ჩვენც მადლიერნი ვართ ამ ლამაზი დღის ჩუქებისთვის. ბავშვებმა დღეს თავის სასკოლო ნივთებს კიდევ ბევრი ლამაზი და დასამახსოვრებელი ნივთი შეჰმატეს. ცხადია, ეს სიურპრიზი ყველას უხარია.“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა.

-„არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარეული” საკმაოდ დიდი ორგანიზაციაა და ის მსოფლიოს 100 ქვეყანაში შედის ამგვარი საჩუქრებით, გუშინ ქუთაისის ერთ-ერთ სკოლაში გადავეცით ამგვარი საჩუქრები, დღეს კი, აქ ვართ თქვენს რაიონში, ეს რაიონი, ზურას დამსახურებით, ჩვენთვის უცხო აღარაა, ვფიქრობთ, რომ ყველა კმაყოფილი უნდა იყოს.”-აღნიშნა „კეთილი სამარეულის” წარმომადგენელმა ხვიჩა ჯიქიამ.

ნაჩუქარი ამანათებით კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც.

-„კმაყოფილი ვარ, ამანათში რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გამიხარდებოდა, ძალიან სასიამოვნო და სამახსოვრო სუვნიერები აღმოჩნდა, მადლობა „კეთილ სამარეულს“ და მათ წარმომადგენელს დედოფლისწყაროში ზურაბ ჯორკოშვილს.“-აღნიშნა ნინო ალულიშვილმა.

პირველი საჯარო სკოლის შემდეგ „კეთილი სამარეულის“ წარმომადგენლებმა №4 ბაგა-ბაღში გადაინაცვლეს, სადაც პატარებს საჩუქრები გადასცეს.

ლალი მეხრიშვილი

P.S. აღნიშნულ აქციასთან დაკავშირებით რედაქციაში ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა დარეკა და გულისტკივილი გამოთქვა, რომ მისი შვილი სტუმრად არის წასული დასავლეთ საქართველოში და ფიზიკურად ვერ მივიდა აქციაზე საჩუქრის მისაღებად. მის ნაცვლად თვითონ მივიდა, მაგრამ საჩუქარი არ მისცეს. ასეთი იმედგაცრუებული ბევრი სხვა მშობელი და ბებიაც დარჩა. მოქალაქე სვამდა კითხვას: - სად წავიდა მისი შვილისთვის განკუთვნილი საჩუქარი?

ჩვენ დავუკავშირდით ქ.დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორს ეთერ ოთარაშვილს და არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარეულის” დედოფლისწყაროს წარმომადგენელს ზურაბ ჯორკოშვილს და განმარტება ვთხოვეთ:

ეთერ ოთარაშვილი - ის პირობა, რომ ბავშვი ფიზიკურად თვითონ უნდა მოსულიყო და მიეღო საჩუქარი, აქციის ხელმძღვანელთა მოთხოვნა იყო. ჩვენ, კლასის ხელმძღვანელების მეშვეობით, შევეცადეთ ბავშვებისთვის ორგანიზება გაგვეკეთებინა, მაგრამ ზოგი ბავშვი დასასვენებლად, ან სტუმრად იყო წასული და ვერ მოვიდა. ამიტომ, მათ საჩუქარი არ შეხვდათ.

ზურაბ ჯორკოშვილი - ჩვენ ერთი კვირით ადრე გავაფრთხილეთ სკოლა,რომ უშუალოდ ბავშვები მოსულიყვნენ საჩუქრების მისაღებად, რადგან ეს პირობა არასამთავრობო ორგანიზაციის სათაო ოფისმა წამოაყენა. მოსულ ბავშვებს გადაეცათ კიდეც საჩუქრები. სასურველი იქნება, სკოლამ შეადგინოს იმ ბავშვთა სია, ვინც საჩუქარი ვერ მიიღო. ჩვენ ანალოგიურ აქციას №2 საჯარო სკოლისთვისაც ვამზადებთ და იმ ბავშვებსაც მაშინ გავითვალისწინებთ, რომ გული არ დასწყდეთ.

იმედია, №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია ამ სიის დაზუსტებას არ დაიზარებს და მიაწვდის მას ბატონ ზურაბ ჯორკოშვილს რომელიც, თავის მხრივ, პირობას არ გადავა და ამ ბავშვებს უკმაყოფილოს არ დატოვებს.

ნაირა გორაშვილი



გვახსოვდეს ჩვენი უშიშარი და მებრძოლი სულის ვაჟკაცები

(მეხუთე გვერდიდან)

და სასწაული მოხდა: დემეტრემ თავი მოაბრუნა, დააკვირდა და გაულიმა. მანამდეც, სანამ ორსულად ვიყავი, ყოველ დილით მუცელზე ხელს გადამისვამდა და ბოხი ხმა უნაზდებოდა, ასე ეუბნებოდა: „დილა მშვიდობისა, მამა!“ და ბავშვიც მაშინვე შეინძრეოდა ხოლმე...

2 აგვისტოს დასავლეთში წავედი. 2 დღის ჩასული ვიყავი და მესამე დღეს დამირეკა, ბავშვი მენატრება და უნდა ჩამოგიყვანოთო. ვერ ჩამოვედით, დემეტრე წლისა და ოთხი თვის იყო, მე - 8 თვის ორსული და თავი შევიკავეთ მგზავრობისგან. ახლა ამას საშინლად ვნანობ...“

ზაზას ცხედარი მოგვიანებით, ოქტომბერში გადმოასვენეს, მანამდე სახლში იმედი ჰქონდათ, რომ დაბრუნდებოდა.

რეზო ალავერდაშვილი - კაპრალი, დაჯილდოებულია მედლით — "სამშობლოსათვის თავდადებული".

სულ ორიოდე წლის წინ

მაშინდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის კაპრალ რეზო ალავერდაშვილის დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრნენ. მათ დაღუპული სამხედროს ოჯახს პირადად მიუსამძიმრეს და თანადგომა გამოუცხადეს. დაკრძალვის ცერემონიალში საქართველოს შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული მონაწილეობდა. საპატიო ყარაულის სამხედრო მოსამსახურეებმა 2008 წელს რუსული აგრესიის დროს დაღუპული სამხედროს ხსოვნას საგანგებო ზალპით მიაგეს პატივი.

აგვისტოს ომში კაპრალი რეზო ალავერდაშვილი 21 წლის გარდაიცვალა. ამ დრომდე ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა და მისი იდენტიფიცირება მხოლოდ დნმ-ის ანალიზის საფუძველზე მოხდა. თანამებრძოლებს რეზო ალავერდაშვილი 9 აგვისტოს შანხაის მიმართულებით მოწინააღმდეგესთან შეტაკების შემდეგ აღარ უნახავთ. კაპრალი ალავერდაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან IV ქვეით ბრიგადაში მსახურობდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ღრმა სამძიმარი გამოუცხადა რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ოჯახს .

“კაპრალი ალავერდაშვილი არის ჩვენი ქვეყნის გმირი. ის გმირულად იცავდა საქართველოს 2008 წელს, როცა აგრესორებმა შემოუტიეს ჩვენს ქვეყანას. მინდა მივუსამძიმრო სრულიად საქართველოს. ძნელია ოჯახისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის და მთელი საქართველოსთვის. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ტრაგედიას, რომელიც 2008 წელს დაგვატყდა თავს. მინდა ვისურვო, რომ საქართველოს ცოცხალი გმირები უმრავლოს ღმერთმა. ჩვენი ამოცანა იქნება დავიცვათ მშვიდობა და ის ქვეყანა, რომლის დაცვასაც შესწირა თავი კაპრალმა ალავერდაშვილმა” — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

* * *

რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საქართველოს საზღვრები კვლავ შეავიწროვეს რუსებმა და რამდენიმე ქართველის ოჯახი რუსული მავთულხლართების იქით მოხვდა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გვტკივა თითოეულ ქართველს. მაგრამ ისიც ძნელი წარმოსადგენია, კვლავ სისხლი დაიღვაროს და კვლავ მსხვერპლი გაიღოს საქართველომ, ეტყობა ამ ეტაპზე, საქართველოსთვის ეს დუმილი ყველაზე მომგებიანია.

მასალა მოამზადა
ლალი მეხრიშვილმა

სათემო კავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის პრეზენტაცია

„საქართველოს სათემო კავშირის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის პრეზენტაცია გაიმართა. მისი წევრები სოფელ სამრეკლოს საკრებულოს შენობაში შეიკრიბნენ და ორგანიზაციულ საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრას ორგანიზაციის თავმჯდომარე ისაკ გიორგაძე, მისი მოადგილე გიორგი ყიფშიძე, „სათემო კავშირის“ კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალიკა ტალიური და დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით ლეკაშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრა დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო და „სათემო კავშირის“ წევრებმა თემში არსებული აქტუალური საკითხები განიხილეს. საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ყველა კითხვას, პასუხი ამომწურავად გაეცა.

„საქართველოს სათემო კავშირის“ თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას სამომავლო გეგმები გააცნო. მისი თქმით, ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს თითოეული თემის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლაზე და მათი გადაჭრის გზებზე.

შეხვედრის ბოლოს, დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას სპეციალური კითხვარი გადაეცა, რომლის მეშვეობით გამოიკითხებიან მოქალაქეები და იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელიც რაიონისთვის ყველაზე პრიორიტეტულად გამოიკვეთება, ორგანიზაცია დონორ ორგანიზაციებთან ერთად სპეციალური პროგრამის განხორციელებას დაიწყებს.

ილია მარტყოფლიშვილი

„დილით მეძახდა ჩემი გალი, ჩემი სოხუმი“

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციაში, ამავე ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით გაიმართა პოეზიის საღამო ქართული პოეზიის მოყვარულთათვის.

ამჯერად ეს დაუვიწყარი საღამო დაეთმო **მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიის ლაურიატის, საქართველოს ჟურნალისტიკის „ამაგდარის“ წოდების მფლობელს, ცნობილი ჟურნალისტის, პოეტისა და მწერლის, საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“რედაქტორის ეთერ ფაცურიას შემოქმედებასა და მოღვაწეობას.**

მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა წილხვედრია პოეზიასთან და მწერლობასთან შერწყმა, შეგრძნება, მუსიკალურ ბგერათა შეკვრა, ლექსად ან წინადადებად ჩამოქანდაკება.

ასეთ პოეტ-მწერალთა რიცხვს ეკუთვნის ეთერ ფაცურია, მისი შემოქმედება სამწერლო და პოეტურ ასპარეზზე მეტად შრომატევადი და ნაყოფიერი აღმოჩნდა. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. აქედან გამოსარჩევია პოეტური კრებული „შავი ზღვა“, რომანი ხუთ წიგნად-„თარაში“, მოთხრობებისა და მინიატურების წიგნი „მთვარიანი ღამე“. ეთერ ფაცურიას პოეზია გამოირჩევა შედარებებისა და ეპითეტების სიუხვით.

პროექტის ინიციატორმა და ორგანიზატორმა, მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომრის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ, პასუხისმგებელმა მდივანმა ლია ჩოქურმა, ასოციაციის წევრებმა და ადგილობრივმა პოეტებმა მხატვრულად წაიკითხეს ეთერ ფაცურიას სულში ჩამწვდომი პოეზიის ახალი ნიმუშები.

პოეტი თავის ლექსებში სათუთად ეფერება აფხაზეთს

„დილით მეძახდა ჩემი გალი, ჩემი სოხუმი,
ალვანდრების სილამაზეში ვეძებდი ადგილს...“

პოეტი ნატრობს ერთ დიდ თაიგულად შეერთებული ყოფილიყოს საქართველოს ყველა კუთხე, მაგრამ თაიგულის მშვენება ყვავილმა-აფხაზეთმა ისეთი მჩხვლეტავი ეკალი გამოიღო, გული დაუფლითა პოეტს და სრულიად საქართველოს. მიუხედავად ყველაფრისა, პოეტი იმედს არ კარგავს, რომ ქართველები და აფხაზები ერთად მოძებნიან გამოსავალს და აღადგენენ იმ ურთიერთობებს, რაც აფხაზეთის ომამდე იყო.

პოეტი მძაფრად შეიგრძნობს ბუნების ფერწერულ სახეს და გრძნობს, რომ საქართველო საოცრებაა და საოცნებო ზღაპარია, რომელსაც ყოველი ქართველისაგან მოვლა სჭირდება.

მისი კოლეგა, პოეტი, ნანი საბანიძე თავის რეცენზიაში აღნიშნავს: -**„ეთერ ფაცურიას პოეზია დიდი მოქანდაკის, როდენის სიყვარულის ქანდაკებას ჰგავს. ვაზის ტოტებივით ჩახლართული ვაჟისა და ქალის ფიგურა საოცარ გამჭვირვალე აურას ქმნის, რომელიც თანდათან ივსება და ნელა კოსმოსისაკენ ლაჟვარდში მიისწრაფვის, რათა იქიდან სიყვარულის ვარსკვლავად მოეფინოს ქვეყანას.“**

პოეზიის საღამოს სპონსორი გახლდათ შპს „სალბუნი-ფარმა“, საინფორმაციო მხარდამჭერი-გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „შირაქი“.

მარიკა პოპიაშვილი

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, ტექნიკური მიზეზის გამო, გაიპარა უზუსტობა, რომელმაც ტექსტის კონტექსტის ცვლილება გამოიწვია, რისთვისაც გიხდით ბოდიშს და გთავაზობთ განცხადების სწორ ვერსიას.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

ქალაქ დედოფლისწყაროში, შირაქის ქ. N 98-ში (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) გაიხსნა მიცვალებულთა სარიტუალო ატრიბუტიკის სახლი. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ხის, ასევე რკინის ჯვრები, საეკლესიო სუდარა, შეუკვეთოთ კუბო თქვენი ან მათი მასალით. დარეკეთ:

☎ 557 139 022.

დედოფლისწყაროობა და საპატიო მოქალაქეები

(პირველი გვერდიდან)

აღნიშნა ლადო ათანელმა. თავის მხრივ, წიკლაურმაც უპასუხა, რომ მისთვისაც პატივი იყო ამ დუეტის შესრულება.

ღონისძიების დასასრულს სცენა „ქუჩის ბიჩებმა“ დაიპყრეს, რამაც ახალი თაობის მაყურებელი განსაკუთრებით გამოაცოცხლა და მაყურებელი კიდევ უფრო ათუხთუხდა. მშვენიერი საღამო ფოიერვერკმა დაასრულა. მაყურებელი კი აღნიშნავდა, რომ ამგვარი კონცერტები დედოფლისწყაროში ხშირად უნდა იმართებოდეს.

თავის მხრივ, „დედოფლისწყაროობის“ დაწესების იდეა კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს ეკუთვნის, ამდენად ამ დღის აღნიშვნის აუცილებლობაზე მან გაზეთ „შირაქთანაც“ ისაუბრა.

- „თითქმის ყველა ქალაქს ჰქონდა საკუთარი ქალაქის დღის აღნიშვნის ტრადიცია. როცა გამგებელი ვიყავი, დედოფლისწყაროში ასეთი ტრადიცია არ არსებობდა, ამიტომ, როცა ხელისუფლებაში მოვედით, გადავწყვიტეთ ასეთი ღონისძიება ჩაგვეტარებინა. ვნახეთ, რომ გასულ წელს დიდი გამოხმაურება და დაინტერესება გამოიწვია. საზოგადოების ჩართულობა დიდი იყო და უკვე დამკვიდრდა ტრადიცია, რომ 1 აგვისტოს აღინიშნოს ეს დღე. როცა მოსახლეობა საეკლესიო დღისთვის ემზადება, რაიონიდან გასული ყველა დედოფლისწყაროელი ცდილობს ოჯახს ეწვიოს და კარგი დამთხვევაა, რომ ამ დროს განსაკუთრებით ბევრი დედოფლისწყაროელი იყრის აქ თავს. იმედი მაქვს, რომ ეს ტრადიცია დიდხანს გაგრძელდება. საპატიო მოქალაქეთა და წარმატებულ დედოფლისწყაროელთა დასახელება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით რაიონის წინაშე, დავაფასოთ და ნახავთ, რომ მომავალში კიდევ უფრო დავაფასებთ,“ - აღნიშნა გუბერნატორმა.

* * *

ელია თეზბიტელის ტაძარში ტრადიციულად ღამისთევას უამრავი ადამიანი დაესწრო. იმის გამო, რომ ტაძარში ტევა არ იყო, მრევლის ნაწილი კიბეებზე, ნაწილი კი ელიას მთის ძირში ანთებდა სანთლებს და ლოცულობდა. მსახურება აღავლინა უპირატესმა მღვდელმსახურმა, დეკანოზმა გაბრიელ ბენიაიძემ. მოგვიანებით, მამა ნიკოლოზ ლომსაძემ გაზეთ „შირაქთან“ კომენტარი გააკეთა და ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

- „მართლაც მნიშვნელოვანი დღესასწაულია, მთელი მართლმადიდებლური სამყაროსთვის და განსაკუთრებით დედოფლისწყაროსთვის, რადგან ღამისთევა მიმდინარეობს და ეს ტაძარიც აგებულია წმიდა ელია თეზბიტელის სახელზე. როდესაც აქ არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, აღმოჩნდა მეექვსე საუკუნიდან დღემდე ნაშთები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მეექვსე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით აქ მონასტერი მოქმედებდა. ღვთის მადლითა და წყალობით, 2008 წლიდან აღდგენილია ტაძარი, სადაც სრულყოფილი მსახურებები მიმდინარეობს. ადრეც ვატარებდით, მაგრამ მაშინ საშუალება არ იყო, მხოლოდ პარაკლისები ტარდებოდა. დღეს ტაძარი ეპისკოპოსის მიერ უკვე ნაკურთხია. მინდა ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო ეს დღე,“ - აღნიშნა მამა ნიკოლოზმა.

ლადო ათანელი: „ვეღარ ვიხსენებ, მაგრამ ძალიან დიდი ხანია, ელიაობის დღესასწაულზე დედოფლისწყაროში აღარ ვყოფილვარ. ძალიან დიდი ბედნიერებაა, ჩემთვის, რომ ასე დაემთხვა და ამ დღეს მომიწვიეს ჩემს მშობლიურ რაიონში. მახსოვს, ბავშვობაში მოუთმენლად ველოდით ამ დღეს, დილით ადრე ვიღვიძებდით და იმ მტვერში და სიცხეში ფეხით ავდიოდით. ახლა ვნახე, ლამაზად მოუპირკეთებიათ ასასვლელი გზა, ნერგები, სკამები საოცრად გაულამაზებიათ ელიას მთა. ვყიდულობდით მამალოებს და გვიხაროდა, მახსოვს, როგორ წირავდნენ ქათმებს და დღემდე რაღაცნაირად ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ უნარშეზღუდული ადამიანებიც არ იზარებდნენ და ქათმებით ხელში მოდიოდნენ ელიას მთაზე. ახლაც დიდი სიხარულით ავედი ამ გალამაზებულ მთაზე, სანთელი ავანთე, უამრავი ჩემი თანარაიონელი მოდიოდა, ფოტოების გადაღებას მთხოვდნენ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელებმაც ეს ბედნიერება გვაჩუქეს. უფრო ცივილიზებულ ფორმებში შეგვიძლია ელიას მთაზე ავიდეთ და ტაძარი მოვილოცოთ. საოცარი შეგრძნება დამეუფლა და მისი მადლი გვფარავდეს ყველას,“ - აღნიშნა ლადო ათანელმა.

2 აგვისტოს, ელიაობის დღესასწაულის პარალელურად, დედოფლისწყაროში ელიას მთაზე, ნაძვნარში ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. მას ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი და საპატიო პრეზიდენტი თამაზ თამაზაშვილი ესწრებოდნენ. ასპარეზობას კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, მსოფლიო ბარიტონი ლადო ათანელი და სხვა ქართველი მსახიობებიც გულშემატკივრობდნენ. აქვე იმყოფებოდნენ მსოფლიო ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ჯაჭვლიანი და სხვები. ტურნირს უძღვებოდა სპორტული კომენტატორი დიტო მარინაშვილი.

სწორედ დედოფლისწყაროდან დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, რომელიც იუნესკოში გაიგზავნება, რათა ქართული ჭიდაობა არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად იქნას აღიარებული. აბრაზე პირველი ხელმოწერა სწორედ თამაზ თამაზაშვილმა გააკეთა, შემდეგ კი მხარდაჭერის დაფიქსირების საშუალება ყველა მსურველს ჰქონდა.

ტურნირი დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გახსნა, მან სტუმრებს დღესასწაული მიულოცა და დედოფლისწყაროში სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი განმარტებით, ამიერიდან ელიაობის დღესასწაულზე კიდევ ერთ ტრადიციას ეყრება საფუძველი და ყოველი წლის 2 აგვისტოს ბიძინა მაზიაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართება.

როგორც ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გელა ბერუაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ტურნირში მონაწილეობის მისაღებად დედოფლისწყაროში მოჭიდავეები რამდენიმე რეგიონიდან ჩამოვიდნენ.

ტურნირში მონაწილეობდნენ: ქ. თბილისის, აჭარის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გარდაბნის, რუსთავის, კასპის, გორის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, საჩხერის, ქარელის, თიანეთის, დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, ცაგერის, ქუთაისისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების სპორტსმენები. ტურნირი მიმდინარეობდა 62, 68-73-82-90- და +90 კგ. წონით კატეგორიებში.

შეჯიბრი ჩატარდა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით. შეჯიბრებას ხელმძღვანელობდა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა ბრიგადა. ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ ქართული ჭიდაობის საპატიო პრეზიდენტი თამაზ თამაზაშვილი.

ტურნირში მონაწილე, ქვემო ქედელმა სპორტსმენმა - გიორგი ნათათრალაშვილმა - 68 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი მოიპოვა (მწვრთნელი კახა წიკლაური).

მოგვიანებით, ფედერაციის სახელით საპატიო პრეზიდენტი თამაზ თამაზაშვილი ნაბადით დაასაჩუქრეს და მის მიერ ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციაში შეტანილ წვლილზე ისაუბრეს.

ტურნირზე აღინიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ ქართული ჭიდაობის ტურნირები იშვიათად იმართებოდა, ახლა კი ტენდენცია შეცვლილია. ორგანიზატორების ცნობით, ფალავნების სიმრავლით და მომზადების დონით შიდა ქართლის რეგიონი ლიდერობს, თუმცა შესაძლებელია, უახლოეს წლებში კახეთის რეგიონი დაწინაურდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მანანა მაჭარაშვილს!

გილოცავთ თქვენი დისშვილების ნიკა ნასრაშვილისა და ნინი ხურციძის ქორწინების დღეს. ახალშეუღლებულებს ვუსურვებ ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას, ულევ სიხარულს, სიყვარულს და უფლის მფარველობას.

პატივისცემით, ნათია ჩალაბაშვილი

ნანა პოპიაშვილს!

დედა, მინდა მრგვალი საიუბილეო თარიღი მოგილოცო და ყოველივე საუკეთესო გისურვო. კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას და ჯანმრთელობას გისურვებ, რომ ისევ მეიმედებოდე და კარგად მეგულებოდე.

სიყვარულით: ანა ბოსტაშვილი

ყიდება

ორსართულიანი კაპიტალური სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში ვაჩნაძის ქ№ 9-ში. ბინა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, წყლით, ტელეფონით. სამეურნეო დიდი ადგილით.

☎ 599 35 76 97

ვაქირავებ

მაღაზიას ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№ 3 (№ 1 საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორია)

☎ 557 303 210

ყიდება

კაპიტალური ორსართულიანი აგურის ბინა 9 ძმის ქ.N-6-ში, მეზობლად მდებარე სახლში წილის ფლობით.

☎ 598 47 56 21

ყიდება

მეცხოველეობის ფერმა, სოფ.ხორნაბუჯში. შენობის ფართი 568 კვ.მ. უზრუნველყოფილია წყლით და ელექტროენერგიით.

☎ 593 96 94 04

ოროთახიანი ბინა კორპუსში ქ.დედოფლისწყარო, მარჯანიშვილის ქ. N23, კორპ. 36. საერთო ფართი 70 კვ.მ

☎ 557 47 42 74

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 11.08	სამშაბათი 12.08	ოთხშაბათი 13.08	ხუთშაბათი 14.08	პარასკევი 15.08	შაბათი 16.08	კვირა 17.08
29 ° / 26 °	28 ° / 27 °	24 ° / 23 °	25 ° / 24 °	26 ° / 24 °	27 ° / 26 °	28 ° / 26 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K